საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 715/01
01/02/2021

715-01-2-202102011423

შპს „ეკორემონტს“

მის: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. მე-3 კვ, მე-4 კორპ. ბ22

ტელ: 593 24 85 47

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 31 დეკემბრის N21156 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყიზილაჯლოში სამშენებლო ნარჩენის მიმღები და გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

პროექტით წარმოდგენილი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერილობითი ნაწილი არასრულია და არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას. კერძოდ, გაურკვეველია თუ რა სახით ხდება ნარჩენების აღდგენა. ვინაიდან, მოცემული ინფორმაციის თანახმად, საწარმოში მიღებული ნარჩენების დამუშავების მეთოდი წარმოადგენს, ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, რაც გულისხმობს: წინასწარ დამუშავებას ნარჩენების აღდგენამდე, მათ შორის, წინასწარი დამუშავების ისეთ ოპერაციებს, როგორებიცაა: დაშლა; სორტირება; დამსხვრევა; დაპრესვა; გრანულირება; გაშრობა; დაქუცმაცება; კონდიცირება; გადაფუთვა; სეპარირება ან შერევა R1-დან R11-მდე კოდებში მოცემული რომელიმე ოპერაციის განსახორციელებლად ჩაბარებამდე. შესაბამისად, თუ საქმიანობა ითვალისწინებს ნარჩენების აღდგენას, პროექტში უნდა განისაზღვროს წინასწარი დამუშავების შემდგომ მიღებული ნარჩენების კოდები, დასახელება და რაოდენობა. აგრეთვე, პროექტში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია თუ რა სახით მოხდება ნარჩენების აღდგენა და განისაზღვროს შესაბამისი აღდგენის ოპერაციის კოდი, ასევე მოცემული უნდა იყოს აღდგენის ტექნოლოგია.

ამასთან, წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტაციაში მოცემული არ არის საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდი და დასახელება (საქართველოს მთავრობის N426 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად). სათანადოდ არ არის აღწერილი ასევე, ნარჩენების და დამუშავების (აღდგენის) პროცესში გამოსაყენებელი საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე მათი წარმადობა.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ პროექტი მოიცავს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 (ნარჩენების განთავსება) და 10.3 (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია, საწარმოში ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. ამასთან გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 ქვეპუნქტი (ნარჩენების განთავსება) არ მოიაზრებს ნარჩენების დროებით დასაწყობებას. ზემოაღნიშნული კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.5 ქვეპუნქტით სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება მხოლოდ **10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა.** შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს რატომ იქნა სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 ქვეპუნქტის საფუძველზე.

დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმო ტექნოლოგიური მიზნებისთვის წყლის აღებას გეგმავს მდ. ალგეთიდან, თუმცა მოცემული არ არის წყალაღების კოორდინატები. ამასთან მოცემული არ არის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის მართვის საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკრინინგის განცხადებაში ჩამოთვლილია ის ტექნოლოგიური ელემენტები/დანადგარები, რაც განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მათი მოწყობის სამუშაოების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „ეკორემონტი“ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტებას და განახლებული სკრინინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას წერილში გათვალისწინებული შენიშვნების შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე